მაისი 1931 წ. № 7—8 ყოველთვიური ჟურნალი ფასი 15 კაპ.

# დროშა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან

მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე.
რედაქცია დაწუნებულ მასალას არ აბრუნებს



F 68?

სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

## სახალხო მწერალი დავით კლდიაშვილი

**(გარდაიცვალა 1931 წ. 27 აპრილს)**

დავით კლდიაშვილი დაიბადა 1862 წ. სოფ. სიმონეთში. განსვენებულს სწავლა დააწყებინა დედამ, ხოლო 7 წლისა სასწავლებლად ქუთაისში გადაიყვანეს მრევლიშვილის სასწავლებელში.

1872 წელს დ. კლდიაშვილი აზნაურთა 32 ბავშთან ერთად ქუთაისიდან კიევში გაიგზავნა სამხედრო გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ იგი გადაიყვანეს მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში.

დავითს ბავშობიდანვე თვითმპყრობელობისადმი მტრული განწყობილება ჰქონდა და ეს უფრო გაღრმავდა შემდეგში, ამიტომ დავით კლდიაშვილისთვის სამხედრო სამსახური მძიმე და აუტანელი იყო.

1902 წელს, როდესაც ბათომში მუშათა გაფიცვები იმართებოდა და მთავრობა სასტიკი რეპრესიებით სცდილობდა მოძრაობის ჩაქრობას, დ. კლდიაშვილის თანაგრძნობა ამ გაფიცვების და მუშათა მოძრაობის მხარეზე იყო, რის გამო მეფის მთავრობის მიერ იგი ათვალწუნებული იქმნა.

1905 წელს დ. კლდიაშვილი გენერალ გრიაზნოვის მიერ გადასახლებულ იქმნა დაღესტანის მივარდნილ კუთხეში, რადგან იგი რევოლიუციონერის დაკრძალვას დაესწრო, მაგრამ ეს გადასახლება შეჩერებულ იქმნა იმ გარემოებით, რომ არსენ ჯორჯიაშვილმა მოჰკლა თვით გენ. გრიაზნოვი. ამის გამო გზები ჩაიკეტა და ბათომიდან წამოყვანილი დავით კლდიაშვილი ბათომშივე დააბრუნეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა დ. კლდიაშვილის 40 წლის მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე და 1930 წლის ივნისში გადაუხადა იუბილეი. ამავე იუბილეზე განსვენებულს მიენიჭა სახალხო მწერლის სახელწოდება.

# გადაჭრილი მუხლი

## (ნაწყვეტი მოთხრობიდან)

თავდასხმის ამბავი გაზვიადებული გადადიოდა სოფლიდან სოფელში. ყოველი ანთებული კერა, ყოველი ოჯახი იფერფლებოდა ამ ამბის მოსმენით. რომელიმე მჭერმეტყველ მოსაუბრე, აჩუყებულ გულთა ძგერას თვალებიდან გადმოღვრილ ცრემლებში ალბობდა.

სოფელი ლებალათურია შფოთავდა. გახელებული ხსნიდა ბაგეებს და წვიმის თქეშს სვამდა ხარბად. ისე, როგორც კომუნის დაარსებით ამოძრავებული ენტუზიაზმი ხარბათ ეწაფებოდა კომუნარების ფიქრებს.

კომუნის ბედით გააფთრებულ ბათლომეს სხეული, კომუნის დასაშლელად მომართულმა სურვილებმა დააბეს საავადმყოფოში საწოლზე.

იალქნებაწყვეტილ ადამიანის სულისთქმა ათიაქის სასწორზე ირხევა. წამლების წვეთები სულიერ წონასწორობას არღვევს. ექიმების გამოცდილი ხელი მალამოზე უფრო უკეთ აშუშებს მის ჭრილობას. ბათლომე უძლებს ნატყვიარში ტამპონების შედებას, გამორეცხვას და იოდის ჩაწვეთებას ჭრილობაში.

ყოველ დღე ახალი დიაგნოზი.

ნატყვიარი ფეხი სივდება. სიმძიმე — ემატება.

ტკივილები მატულობს. ძვლებში ტეხს. ფიქრები იწეწება.

ჯოტო ყოველ დღე ნახულობს ბათლომეს.

ბათლომე საავადმყოფოს პატარა ოთახშია მოთავსებული. მასთან ფეხმოჭრილი მილიციელი წევს. ბათლომე უყურებს თუ როგორ იკლაკნება მილიციელი. ხედავს თეთრ ხალათებიან მომვლელ ქალებს, როგორ უხვევენ ისინი მილიციელს ხელებს, გადმოყავთ საწოლიდან და მიაგორებენ ნელა, საკაცეზე დაწოლილს, ჭრილობის შესახვევ ოთახში.

ბათლომეს ყოველ დღე უსინჯავენ ფეხს. გარკვეულად ვერას ამბობენ. დაბნეულობა და გაოცება ცვლება მათ სახეებს.

ოთახში საშინელი სუნი დგას.

დერეფანში ჩქარი მიმოსვლაა: პროფესორების, ექიმების, მომვლელი ქალების, სანიტარების და ავადმყოფთან მოსულ მნახველების.

ბათლომეს საწოლი ოთახი იქ არის, სადაც ორივე მხრიდან იღება კარები ქვედა სართულში ჩასასვლელად. შემოდიან მნახველები, ჩადიან სანიტარები. გააქვთ ახლად გაციებულ ადამიანის გამხმარი ცხედარი. მათი ნაბიჯები უცებ ჩერდება კარებთან. დაადგებენ ძირს საკაცეს. მასზე დაგორებული მიცვალებული ვარდება იატაკზე — რაც საზარელ ხმაურს იწვევს. ხმა იჭრება ბათლომეს ოთახში. ბათლომე საწოლზე ირწევა აკვანივით და ეს ხმაური მას ტანჯვის ფიქრებს უშლის უფრო ღრმათ, ვინემ აქამდე. იგი ყოველ დილით მიიტანს ხელებს ფეხებთან, სწევს მაღლა და ბრუნდება კედლისაკენ, რომ არ შეავლოს თვალი სიკვდილთან ბრძოლაში დამარცხებულ ადამიანის გაყვითლებულ სახეს. სანიტარები აღებენ კარებს. იღებენ საკაცეს ხელში და ჩააქვთ ქვედა სართულში — პროზექტურაში.

კიდევ მოუსვენრობა.

კიდევ უძილობისაგან თვალებ გადმობრუნებული სანიტარები. ბათლომეს სახე ეღიმება, ოხრავს და ჩუმად დედას აგინებს მათ მკვდრებისადმი ასეთი გულცივი მოპყრობისათვის.

ასეა ყოველდღე.

დღეები მალე გარბის საავადმყოფოში. ღამეები, კი დაუსრულებელია უდაბნოში მიმავალ ქარავანივით.

ამას ბათლომე გრძნობს, რაც ტკივილებმა უმატა და არ აძლევს მოსვენებას. მუხლები სტეხს. ძვლებში



ჭიათურა — ექსკავატორებ ით შავი ქვის გამოთხრა.



ა.-კ. რკინის გზა უკვეთავს 26 კომუნარის ქარხანას ტრანსპორტის ამწევ მანქანებს.

რაღაც იმტვრევა. ღრღნის, ეჭავება, იწვება ბუხარში ჩანთებულ ცეცხლივით. სიცხემ ბოდვაში გადაიყვანა. ბათლომეს ეუფლება: მოუსვენრობა, აღელვება და უძილობა.

— წამიყვანე, ჯოტო, სახლში!

— რატომ ბათლომე, ამაზე უკეთესად ვინ მოგივლის?

— ვკვდები მაინც და!

— რამ წაგახდინა ვაჟკაცი! არ გრცხვენია? გული გაიმაგრე!

დამშვიდებული ტონით უთხრა ჯოტომ.

ბათლომე ვერ წყნარდება: ბორგავს და ბრუნავს საწოლზე.

ტყვია, რომელიც იმ ღამეს ესროლეს ბათლომეს, რაღაც განსაკუთრებული შემადგენლობის ყოფილა. სადაც ფეხს ტყვიის წვერი მოხვედრია, იქ წერტილის ოდენა ამჩნევია განახვრეტი, მეორე მხარეზე, სადაც ტყვია გასულა, მუშტის სიმსხოზეა გამოგლეჯილი ხორცი. ტყვია შიგ გამსკდარა. ნატეხები მუხლის ძვალში შეჭრილა, მარილივით დაუფშვნია ძვლები. ნამტვრევები, რომელიც ვერ ამოუღეს ექიმებმა, სალ ხორცში ესობა ნემსებივით. აწვალებს, ტანჯავს, ამიტომ არ უნდა მას სიცოცხლე.

ჯოტომ ბათლომეს ბედი ექიმების გამძაფრებულ ყურადღების ცენტრში ჩააგდო. საამოძრავა მათი გონება, გამოცდილება, და მისცა დაკვირვების ახალი ნიმუშები. გამოარკვია ტკივილების ღრმა კვალი.

— ფეხი მუხლს ზევით უნდა მოვსჭრათ! —უთხრა უფროსმა დოსტაქარმა ჯოტოს. კლდეში ჩადებულ ლაღუმივით აფეთქდა რაღაც ჯოტოს სხეულში. დაიგრიხა, თითქოს მისთვის მოეჭრათ ფეხი. ჩიხში მომწყვდეული ადამიანის ხმით უპასუხა ექიმს:

— გვერდს ვერ აუვლით?

— უარესია, ნუ დავაყოვნებთ! იყო ექიმების პასუხი.

ბათლომე ჯოტოს ყველაფერს უჯერის. ახლა რთული ამოცანაა მის წინაშე: დაიყოლიებს თუ არა ბათლომეს?

ამას ფიქრობს ჯოტო. მის წინ ისახება ბათლომე ფეხმოჭრილი; აგონდება ბათლომეს მსოფლიო ომის დროს ბრძოლებში ყოფნა და გულუბრყვილოთ ამბობს თავისთვის:

— ოთხი წელი ომში იყო და უვნებელი ჩამოვიდა, ახლა, როგორ უნდა მოსჭრან ფეხი? და აფიქრებს მას დაჭრილი ადამიანის სიმწარე.

ექიმები ბათლომეს გამოტეხილად უცხადებენ ფეხის მოჭრას.

ჯოტოს, კი, როგორც ავადმყოფის პატრონს, ექიმები ოპერაციის უფლებას სთხოვენ:

— მოვსჭრათ ფეხი, თუ არა?

— შევეკითხოთ მას, რას იტყვის!

მოაგონდა ჯოტოს, რომ ბათლომე თავის თავს არ ეკუთვნის, მისი პატრონი კომუნაა. და წავიდა კომუნარებთან საკითხის გადასაჭრელად.

წუთით შეჩერდა კომუნარების მოძრაობა, მათი ყურადღება ჯოტოს მიერ დაყენებულ საკითხის ირგვლივ დაირაზმა.

— ბათლომე ცუდად არის. ფეხი გაუსივდა. სისხლის დენა ვერ შევუწყვიტეს. დაწამლული სისხლი ზევით მიდის, გულთან თუ მიაღწია, მოკვდება.

კომუნარების სახეებზე თოვლივით ჩამოწვა მწუხარების ნაფლეთები. მათ გულებზე გადმოეფარა შავი კუპრივით გაუვალი ფიქრები. მოზვავდა გულის წყრომა მეწყერივით. ჩამოიბურა თვალები ღრუბლებით.. ჩაიძირა ხსნის გრძნობა დაცემულობის ტბაში. შეირყა ბათლომეს მიერ მიწაში ღრმად ჩაფლული კომუნის საძირკვლები. დაიცრიცა მისი მორჩენის იმედები. დაიღვარა ცრემლები ბურუსში და ამ დაღრენცილ სახლკარში თავმოყრილ კომუნარების პირიდან გადმოგორდა მწუხარებით განცდილი სიტყვები:

— სად არის გამოსავალი??

— სად არის გამოსავალი??

და, ეს სიტყვები, ურჩევ ლოდივით დააწვა ყველას: უფრო მძიმედ, უფრო დაუძლევლად, ვინემ მთელი წარსული ცხოვრება. იგი ჭავარდა კომუნარებში მეხივით. შეანგრია მათი გულისფიცარი ვერაგულად. გატეხა იმედები ბრძოლის გამარჯვებამდე მიტანის. წამოსროლილი სიტყვა დაღმავალია უფსკრულისაკენ. არ გავს ამავე სიტყვებით გამოთქმულ სხვა აზრს, რომელიც კომუნის დაარსების დღეს ყველას ფიქრებს აედევნა. იგი კომუნის ძირებს ხსნიდა მაშინ და აღმავალ ხაზით მიიმართებოდა, ამიტომ პასუხი არსად ჩანს. ამ მეორედ დაგებულ სიჩუმეში ჯოტომ მოხაზა გამოსავალი ბილიკები.

— სად არის გამოსავალი??

— ჰო, ჯოტო, სად არის გამოსავალი! — ერთად დაიყვირეს კომუნარებმა.

— გამოსავალი ჩვენშია! ფეხი მუხლს ზევით უნდა მოვჭრათ, მაშინ მორჩება.

— რათ?

— რას ამბობს?

— ხომ, არ შეიშალა ეს კაცი ჭკუაზე?

ახმაურდა ყველა.

— მერე, ფეხი თუ მოვჭერით სულ არ დაიღუპება?

— ექიმმა მითხრა, მხოლოდ ფეხის მოკვეთით გადაარჩენთო.

გადმოლაგდა შიშნაკრავი აზრები. ყველა ფიქრობს ბათლომეს გადარჩენაზე. იწერება ექიმბაშური

ლუკა ლორიამ გაარღვია კომუნარების ჯგუფი. მიუახლოვდა ჯოტოს, რომელიც გადმოსცქეროდა კომუნარებს მაღლიდან.

— შემომაქვს წინადადება, რომ ბათლომეს მოვჭრათ ფეხი!

ყველას გაუკვირდა ასეთი წინადადების შემოტანა.

— თუ მაგი მოარჩენს, რა გვეთქმის მეტი? — დაუმატა ბონდომ.

ბარბალე და ტერეზია თმაგაწეწილები იდგენ.

— მე მოვედი თქვენ შეგეკითხოთ და გადავწყვიტოთ ბათლომეს ბედი იგი ჩვენი ხორცია. გვეტკინება ისე, როგორც საკუთარ ფეხზე დასობილ დანიდან მიყენებული ჭრილობა. გადაჭრილი ძარღვები შადრევანივით ამოისვრის სისხლს. მაგრამ ეს ნუ შეგვაშინებს. მაშ, მე უყრი კენჭს: ვინ არის მომხრე, რომ ბათლომეს ფეხი მოეჭრათ??

კომუნარებმა ასწიეს ხელები.

ბონდომ ოქმში შეიტანა:

— „ლუკა ლორიას წინადადებით და ჯოტოს მოთხოვნით სოფელ ლებალათურიას კომუნის საერთო კრებამ ადგენს: „ჩვენი კომუნის დამაარსებელს ბათლომე ლომიას მოეჭრას ფეხი იმ პირობით, რომ ის მორჩება და არ დაეკარგება კომუნას ჩვენი მტრების გულმოსაკლავად".

და ეს ოქმი, კომუნარებმა შეინახეს მყუდრო, მიუკარებელ ადგილას, თითქოს ამ ოქმში იწვეს ბათლომე საოპერაციოთ გამზადებული და ყველა ერიდებოდეს, ყველა წუხდეს მის დანახვას, მის აღელვებას.

ჯოტომ ამ ოქმის ასლი სათუთად ჩაიდო გულის ჯიბეში და იმ საღამოსვე წაიღო სავადმყოფოში და ექიმებს გადასცა; ექიმებს გაეცინათ ხელები ჩაიქნიეს და პირდაპირ ბათლომესკენ წავიდენ.

ჯოტომ უთხრა ბათლომეს, რომ მას ფეხს მოსჭრიან.

მოულოდნელი ტანჯვა ისადგურებს ბათლომეს სხეულში და ბრძოლებ გათავებულივით ნებდება ექიმების სურვილებს. ათვალიერებს მათ. ყველასგან შველას მოელის. სანიტარებიც კი მისი მხსნელი ჰგონია. წინა დღით თუ აგინებდა მათ, ახლა ეხვეწება: ხშირად შემოვიდნენ ოთახში, ესაუბრონ საკუთარ გამოცდილებაზე: გადაიტანს, გაუძლებს, ამ მოუსაზრებელ რისხვას, თუ მასაც ისე გაიტანებენ მკვდრად, როგორც ყოველ დღე გააქვთ? — ფიქრობს ამის შესახებ ბათლომე და ეძებს გამოსავალს. გაფითრებული კითხულობს:

— სად არის გამოსავალი?

— გამოსავალი მაგ ფეხის მოკვეთაშია! — აძლევს პასუხს მეორედ მოსული ექიმი, და იმეორებს ბათლომე ამ სიტყვებს რამოდენიმეჯერ. მასში ჩანს მოთმინების სიჭარბე, რომელიც ცურავს ფიქრების ნაცრისფერ ტბაში. იშლებიან ამ ტბის ჩამორღვეული ნაპირები და შიგ მოსჩანს ბათლომეს მკრთალი სახე მთის ტატნობზე ჩრდილებ ჩამოშვებულ ცაცხვის ხეივანივით, რომელზედაც ყორნების ბუდეები ირწევიან აკვანივით. ასე ირწევა ბათლომეს სხეული სიკვდილისა და სიცოცხლის საწორზე. იმედებით დაყურული თვალის უპეები კი გამოიყურებიან ღრმა ფიქრებით გაბრწყინვებულები.

**სიმონ ჭვერავა.**




„თავისუფალ" ამერიკაში გაჩნდა ხალხის მთელი კატეგორია, ე. წ. „ფაკეტირები", რომლებმაც თავის პროფესიად გაიხადეს მძარცველობა და ყაჩაღობა. ასეთ პირებს ამერიკის მთავრობა იყენებს საგაფიცვო ბრძოლაში და თავის ბნელ საქმეებში.

სურათზე: „ფაკეტირებს" ავტოთი გადა-



ჭიათურა. დამკვრელი მუშები სოციალისტური შეჯიბრის მოწინავე რიგებში.

სურათზე: ქართველი დამკვრელი—მეშალორე

# ენტუზიასტები

**ილვიძებს საამქრო**

— გობრონ!

გაისმა საამქროს ბოლო თავიდან.

— ჰოუ!

მიუშვი ელდენზე!

— პირველი?!

— მეორეც! მესამეც!

— მზადაა არის!

გაისმა ისევ ძახილი, ისევ პასუხი...

— ეი, ხრიპკო!

პასუხი არ არის.

— ხრიპკო?! არ გესმის შე ჯლატა შენა?!

—ჰოუ...

გაიგუგუნა საამქროში ხრიპკოს ბოხ ბოხმა ხმამ.

— მიუშვი ელდენზე!

— მზადა არის!

ხმაურობს საამქრო,

ქშიხავენ, გუგუნებენ, თახთახებენ მანქანები...

შრიალებენ ღვედები...

ტრიალებს ათასი მუშა - ხელი, საამქროებში თუ კორპუსებში დაზგებთან თუ მანქანებთან...

გუგუნებენ დიზელები, მოტორები და ზანზარებენ საამქროს შებოლილი კედლები...

ფართო, განიერ ფანჯრებს ადგება მზე სხივნაყარი და საამქროს უფერო ბინდებში ბრწყინავენ, ელავენ მანქანების ვერცხლისფერი ნაწილები...

მუშაობენ ლურჯხალათიანები, მასსები — ენტუზიასტები...

აი ისინი: ავარვარებულ ღუმელებთან, რომ დგანან და ავსებენ ყალიბებს გადამდნარი თუჯის მზისფერ ნიაღვარით.

აი ისინი: სამონტაჟო საამქროში რომ აწყობენ აბრეშუმის ქარხნისათვის საქსოვ დაზგებს, ჩაქვის ჩაის ქარხნისათვის რომ აკეთებენ მანქანებს...

აი ისინი: სახარატო საამქროში, რომ სჭრიან, ხანდავენ, ხრახნიან მანქანების სხვადასხვა ნაწილებს...

და აი ისინი: — ჩვენი დღეების გმირები — ენტუზიასტები, რომელთანაც მუშაობს გობრონ ხეთაგური...

ხეთაგური მათი საყვარელი გმირია...

ყველგან, ყველაფერზე მათი კანდიდატურა — გობრონ ხეთაგურია, რომელსაც შემდეგი სიტყვებით ისტუმრებენ...

— გობრონ! მიდი... შენებურად მისცხე... გობრონ შენებურად... ბოლშევიკურად!...

და აი! თითონ გობრონი გრძნობს, რომ მასსებს — ენტუზიასტებს ის უყვართ პატივს სცემენ, როგორც საუკეთესო მეგობარს და ამხანაგს...

იცის ეს ხეთაგურმა და როცა ის სალაპარაკოთ გამოდის, გრძნობს, რომ მასთან მხარდამხარ დგანან ათასები, ლურჯხალათიანები და მისი სიტყვა არის მტკიცე, გამბედავი...

ტრიალებს ათასი ხელი, ათასი კაცი. გუგუნებენ ბოლჩამოშლილი საამქროები და ფოლადის გუგუნი მიდის შორის, შენობების ცივი კედლების იქით.

**ის ჯერ არ მოსულა!**

წუხანდელი ნამუშევარი პლაკატებით, ლოზუნგებით აჭრელებულია საამქროები.

ყველგან, კარებთან, ბოძებზე, მანქანებთან დაზგებზე...

ყველგან; საამქროებში, კორპუსებში გაკრულია ლოზუნგები....

ლოზუნგებიდან გამოირჩევა და ყველა კუთხიდან თეთრ ქაღალდზე ძკვეთრად ქათქათებს მსხვილი ასოები: „დავეუფლოთ ტეხნიკას“... ჩვენი ქარხანა უნდა გახდეს დამკვრელი დამკვრელთა შორის“...

აი აგერ: მტვერით დაქვარჭნილ ხელსაკიდების იქით კირიონ ქვემოკლიძის დაზგაზე გაუკრავთ „მე ჩამოვრჩი“...

აი, კიდევ იქით! შეჭვარტლულ ფანჯარასთან რომ დგას დაზგა, ზედ აწერია: „მოვითხოვ, პატრონმა მტვერი და რკინის ნახერხი მომაშოროს“...

— კარგია!

— მშვენიერია! პირდაპირ მშვენიერია!

ამბობდა მაგდა და ბართლომე;

მაგდა ჟამჟამად შეხედავდა ლოზუნგებს და ფიქრები გობრონზე შეჩერდებოდა...

— ნამდვილი ბოლშევიკია! ქარხანას უსათუოთ ასახელებს!..

ფიქრობდა ის და ეს ფიქრები, როგორც სიამოვნება, ისე უვლიდა ტანში...

ბართლომე ამ დილით რაღაც სულ სხვანაირად იქცევა.

თითქოს სიხარულია... თითქოს აღტაცებაა...

ასე არასოდეს არ ყოფილა...

თითონაც უკვირს, თუ რატომ იყო დღემდე ასე მოდუნებულივით, უმოქმედო, ზანტი...

ეხლა! ყოველ წუთს მეტი ხალისი, ინტერესი, სიყვარული და გატაცება მოაქვს...

ყოველ წვრილმან ნივთებში, ეგზომ დიდ ღირებულებას ხედავდა და თავს მოვალედ რაცხდა, რომ ფაქიზად მოპყრობოდა...

რა სიახლეა!

რა თავისებურება!

ეს პლაკატები, ეს ლოზუნგები, რაღაც განსაკუთრებულად მოქმედობს ბართლომეზე და სახეზე უჩვეულო კმაყოფილება ემჩნევა...

მით უფრო მეტად გრძნობდა ბართლომე ხარებაძე ამ პლაკატების, სიტყვების სიძლიერეს, როცა მის მეზობელ კირიონ ქვემოკლიძის დაზგაზე რომ დაინახა დაკრული: „მე ჩამოვრჩი“.

— ძველი ხარ! ძველი ხარ გობრონ!

ხუმრობით გადასძახა მან ხეთაგურს..



დონბასის მოწინავე მუშა პახომ ლოგვიჩენკო ასწავლის ახალგაზრდა აფხაზს გვირაბის თხრას ტყვარჩელში.

გობრონმა კისერი მოაბრუნა და, როცა ნახა ბართლომე, შეეკითხა...

— არ მოგეწონა!

ბართლომემ ისევ გაიცინა...

— ვინც შენ არ გიცნობს გობრონ ჩემო, ის ან დღე მოკვდება ან ღამე!..

გობრონმა მხიარულად გადაიხარხარა...

—დღემდე როგორ გაძლო, ისა სთქვი შენ!...

გაისმა მხიარული ხმა კარებიდან და კარებში გამოჩნდა საამქროს ოსტატი კაგამეროვი.

— ყოჩაღ! მუშაობთ?! კარგია, ძლიერ კარგი! — ეუბნება კაგამეროვი — ეხლა კი ლდინს გავაცლით ციხისელს და ყველა ჯურის ოპორტუნისტებს... დასცხეთ, დაჰკარით ძმებო! აი, ჩემი მკლავი, ჩემი მარჯვენა! დეე, იგუგუნოს ქარხანამ და გუგუნით გავიდეთ დამკვრელად!

—უთუოდ! ყოველ მიზეზ გარეშე! აქ ვარ მე, აქა ხარ შენ, აქ არის მაგდა, ბართლომე, აქ არიან სხვებიც, ყველანი — ჩვენ ერთად — ენტუზიასტები! დავჰკრათ დამკვრელ კვარტალში!..

ეუბნება ხეთაგური კაგამეროვს და თან გრძნობს, თუ, რამდენად ძლიერი ძალა სდგას მის გვერდით, რომელიც ისევე თავდადებულად მუშაობს ქარხნისათვის, როგორც თვით გობრონი...

— კარგია, ძალიან კარგი!...

იმეორებდა კაგამეროვი თავისთვის და აქეთ იქით იხედებოდა, უყურებდა ლოზუნგებს, პლაკატებს, და ილიმებოდა...

იხედებოდა ისევ აქეთ იქით, თითქოს ვილაცას დაეძებდა, მაგრამ ვერ ნახა და მერე გობრონს შეეკითხა...

— ქეემოკლიძე სად არის?!

— ჯერ არ მოსულა! იგვიანებს! — უპასუხა ხეთაგურმა და მერე თავისთვის წაილაპარაკა — საოცარია, პირდაპირ, სანამ უნდა გაგრძელდეს ასე!

— ვნახოთ, ვნახოთ ამ ორ დღეში! თუ თავისი კიდევ არ დაიშალა, მერე კი საქმე სხვას მოითხოვს!... ვნახოთ!...

უთხრა კაგამეროვმა და საამქროს თავისკენ წავიდა.

## მას ენტუზიასტებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს

ხმაურობენ საამქროები...

საამქროების სიღრმეებში გუგუნებენ, თახთახებენ მანქანები.

ტრიალებენ უზარმაზარი ბორბლები, მანქანების მხრებზე აფრენილი, და აზანზარებენ მთელ შენობას...

ტრიალებს ათასი ხელი, ათასი კაცი...

მძიმედ ეცემა მექანიკური ურო ავარვარებულ რკინის ნაჭრებს და კუმშავს...

კავკავებენ პნევმატიური ინსტრუმენტები და მძიმედ ხროშინებს ფრეზერული დაზგა...

ქეემოკლიძე, რომელიც შორით, ღვარძლით იხრჩობა...

დახედა დაზგას და წაიკითხა დაკრული ქაღალდი...

„მე ჩამოვრჩი".

მერე პეტრე შჩუკინის დაზგას გადახედა, იქაც წაიკითხა, ისეთივე სიტყვები და ისევ თავისას დააცქერდა.

„მე ჩამოვრჩი"

ასე ეწერა მის დაზგაზე...

მგლური თვალებით გადახედა ხეთაგურს...

მერე ქაღალდი ახია, კბილები გაახჭრიალა და წაიბუზბუნა...

— ფეხებზე მკიდია! იმაზე დამიდგა ჯავრი, თუ ჩამოვრჩი. თავს ხომ არ მოვიკლავ! ჩემი ჯანმრთელობა მრლად მირჩევნია მთელ თქვენ წარმოებას!..

მერე ისევ შეხედა ხეთაგურს, მაგრამ გობრონის ღონიერი ხელები მაგრად უჭერდა საჩანდავ დაზგას და მუშაობდა ხალისიანად.

— კირიონ! — გადმოსძახა გობრონმა ქეემოკლიძეს — კიდევ ისე ხარ?! დროა, დაიწყო მუშაობა!

კირიონი აიმრიზა და მკვახედ უპასუხა...

— მე ვიცი ჩემი საქმე!..

— კი, მაგრამ კარგს იზამ თუ ცოტას ვილაპარაკებთ და დროს საქმეზე დავხარჯავთ! იქნებ, კარგი რამე გააკეთო!...

— რასაც ვიზამ, რასაც გავაკეთებ ეს მე ვიცი! ეს ჩემი საქმეა. შენ ვინ გეკითხება!

— ვინ მეკითხება და მუშაობის ინტერესი!

— თუ მუშაობა გაინტერესებს, იმუშავე შენ თითონ! სხვის საქმეში ნუ ყოფ ცხვირს!

— კირიონ გაიხსენე, მოიგონე შავ დაფაზე რომ ხარ გაკრული! დროა, გამოსწორდე! დროა, თავი დაანებო ცუღლუტობას!

— არც ეს არის შენი საქმე! ჩემი საქმე მე თითონ ვიცი...

გობრონი ხედავდა ქეემოკლიძე ძალზე გაბრაზებული რომ იყო და ცხარედ არ გამოეკამათა. გაჩუმდა.

საამქროს ოსტატი ამხანაგი კაგამეროვი ნელა მიუახლოვდა ქეემოკლიძეს და დაბალი ხმით უთხრა:

— დაიწყე მუშაობა! დროა!

ქეემოკლიძეს ხმა არ გაუცია.

მძიმედ, ძალიან მძიმედ მიბრუნდა დაზგისკენ და ისევ დინჯად, ისევ მძიმედ იწყო მუშაობა...

კაგამეროვი დიდხანს უყურებდა მას და ბოლოს გაიფიქრა...

— მას ენტუზიასტებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს!

**არჩილ ჩაჩიბაია.**



ზულცერის ახალი სისტემის 1800 ცხ. ძ. დიზელი, რომელსაც ამზადებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხიდების მშენებლობა თბილისში. — საბურთალოზე შენდება ახალი ხიდი მდინარე ვერაზე. წინა პლანზე მოსჩანს ძველი ხიდი — უკან შენდება ახალი.

---

# ბედან მონადირე

— სამყინვაროში ბედანს ბადალი
ჯერ არ ჰყოლია ვით მონადირეს;
ბედანს აბედებს მადლი და დალი,
ბედან ჩვენს გულში ღამეს ადილებს!..

ასე მღეროდენ ბედანზე სვანნი
სად აზიდულა ზვიადი უშბა,—
უშბა ცის შუბლი, მრისხანე სული
ამართულია რაინდის შუბად.

მონადირეთა მთაში მაშხალას
დაურბევია ლეგენდარულად:
ქარიშხლიანი „უშბა“ და „შხარა“,
„ლეხზირ“, „იალბუზ“, „დანღუზ—ორუნა“.

ამოხდებოდათ ხრამებს ხრიალი,
როს მარცხდებოდენ ჯიხვნი ჯოგებად
და მონადირე ქარმუხლიანი
გამარჯვებული დაიქოქებდა —

და უმაღლიდა მიდამოთ ბედან,
რომ აქ მყინვარი და ნადირია.
მაშინ რამდენ სიხარულს ჰფენდა,
სანადირონი და იდილია!..

დღეს?—მთები თვლემენ თოვლის ქარქაშში,
დაბლა მდინარე ჰქუხს და ირევა!..
მონადირეთა შეწყდა განგაში
და ფარავს ფერდობთ ნანადირევი...

რათ არ მღერიან „ბაილს“ და „ლილეს“
გამარჯვებულნი მონადირენი??
ალბად თუ ბევრი ბოლმა დალიეს—
ბოლმა ბალღამად ნანადირები

— არ მოველოდით უბადლო ბედან
ჩვენ შენგან ამგვარ ნაბიჯს ურიგოს;
დიდებულ ბედის დაბინდვას ჰბედენ—
ჩვენ გულებს ბოლმა, რომ დაურიგო:

გინდათ გაშოლტოთ დაკიდულ კლდენით
თქვენ გზა ბარიდან საჯიხვებამდე,
რომ დადგეს კვამლის კორიანტელი,
კვამლი ქარხნების ლურჯ ცას ლებავდეს.

რათ გინდა ეს გზა?—ამ გზით ბარით ხომ
ამოვარდება ცეცხლის ზმაური!..
ვერ ნახავ ჯიხვებს—რჩევას არ ითხოვ?„—
ამოიშლება ყოფა ხევური.

არავინ გიმღერებს ჩანგს და ჭიანურს,
ციტყვით: არაა მთების სიწმიდე ის!
მოუხრელ მუხლებს მოგაჭრიანო
(აქ იგულისხმე რისხვა სხვა დროის).

ბედანმა ჯიხვის რქებზე დაბჯენით
მონადირეებს ასე მიმართა:
—ახალ ცხოვრების ვიყოთ გამრჯენი
თორემ წარსულით რა გაგვიმართლდა?

და გულებს ბოლმით ნურვინ აივსებს,
თუ ინდუსტრია მთებს გადასრუტავს!
გამოტირება ნუა ბაილზე
და ადათების ქამგადასულთა.

მას ვაჟკაცობა არ ჩაუქრება,
ვინც მშენებლობით იბუმბერაზებს;
მიიღებს ტემპებს დასაჩქარებად.
ინდუსტრიალურ გადარბენაზე!

მზეს მხურვალება გადმოუზიდავს —
სვამს ხარბად ნისლებს: ხევებს შერჩენილს
და გრიალებენ იალბუზიდან
გრიგალებივით გერგვინვით გლეტჩერნი.

შალვა შამფრიანი.



# ამხ. ვანო სტურუა

ამხ. ვანო სტურუა დაიბადა 1870 წელს სოფ. კულაშში (ყოფ. ქუთაისის გუბერნია) ღარიბი გლეხის ოჯახში. ხუთი წლის ვანოს მოუკვდა დედა და ბავშობა გაატარა ობლობასა და სიღარიბეში.

1883 წელს შევიდა კულაშის ორკლასიან სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1889 წელში. ვანოს მამამ გაყიდა ერთი ქცევა მიწა და ნოემბერში 17 წლის ვანო მამასთან ერთად გამოემგზავრა თბილისში, სადაც სურდა შესულიყო თბილისის ყოფ. მიხეილის სახელოსნო სასწავლებელში. მაგრამ ვერ მოახერხა და ამის შემდეგ იძულებული გახდა დაეწყო მუშაობა ა.-კ. რკინისგზების მთავარ სახელოსნოში.

ამხ. ვანო რ.ს.-დ.მ.პ. დაარსების პირველ ხანებიდანვე ამ პარტიის წევრი იყო. 1903 წლიდან კი — გაიყოფილების დღიდანვე— ბოლშევიკებთან დაიწყო მუშაობა.

პირველი მუშათა წრე, რომელშიაც ვანოც იღებდა მონაწილეობას, ითვლებოდა ამიერ - კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციის ჩამოყალიბების დასაწყისად.

ამხ. ვანო მონაწილეობას იღებდა და ხელმძღვანელობდა თბილისში რკინის გზაზე 1898 წელს მომხდარ ორდღიან გაფიცვას, ხელმძღვანელობდა აგრეთვე 1900 წლის რკინისგზელთა გაფიცვას, რომელიც 16 დღის გაგრძელდა. 1899 და 1900 წლებში მონაწილეობდა თბილისში არალეგალურად მოწყობილ პირველი მაისის დღესასწაულებში.

ამხ. ვანო იყო ერთ-ერთი მონაწილე-ორგანიზატორი და დროშის მატარებელი 1902 წლის 21 აპრილს ბაქოში ლეგალურად გამართულ საპირველმაისო დემონსტრაციის. 1901-დან 1903 წლის ოქტომბრის ბოლომდე ამხ. ვანო მუშაობდა ბაქოში—შავ ქალაქში, მანთაშევის ქარხანაში. იყო ბაქოს კომიტეტის წევრი.

1903 წლის ოქტომბრიდან ამხ. ვანო გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაში, დარჩა ბაქოში და დაიწყო მუშაობა ამხ. ლადო კეცხოველის მიერ მოწყობილ არალეგალურ სტამბაში ზემო-ტახაპირის ქუჩაზე. სტამბა იყო საკმაოდ დიდი და კარგად მოწყობილი ამხ. ლადო კეცხოველის, აბელის და სიმონის (იგივე ტრიფონ) ენუქიძეების მიერ. ამ სტამბაში მუშაობდნენ ამხ. სილიბისტრო თოდრია, აშოტ ხუმარიანი, ვანო ბოლქვაძე და უზანგი (ყარამანი) ჯაში. მათ გარედან დახმარებას უწევდა ამხ. ლ. ბ. კრასინი.

პეტერბურგის ბოლშევიკურ ფრაქციის დავალებით 1907 წელს ამხ. ვანომ შეასრულა ტერორისტული აქტი. მოკლა პროკურორი, რომელმაც არა ერთი რევოლიუციონერი ჩაუგდო ხელში თვითმპყრობელობის ჟანდარმებს. მეორე ტერორისტული აქტი ამხ. ვანომ ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით და ამხ. სურენ სპანდარიანის მითითებით შეასრულა ბაქოში.

ამის შესახებ თვით ვანო ავტობიოგრაფიაში ამბობს:

„მე პროფესიონალური ტერორისტი არ ვყოფილვარ, მაგრამ პარტიის დავალებებს ვასრულებდი“-ო.

ამხ. ვანო დაპატიმრებული იყო სხვა და სხვა დროს — 1907, 1910, 1911, 1919 და 1921 წლებში. უკანასკნელად ორჯერ დაპატიმრებული იყო მენშევიკების მიერ. გადასახლებული იყო ორჯერ. პირველად ბაქოდან 1903 წელს არხანგელსკის გუბერნიაში, რომლის შესახებ განაჩენი წინასწარ გაიგო და გადავიდა არალეგალურ ცხოვრებაზე და ამრიგად თავიდან აიცდინა გადასახლება, ხოლო მეორედ 1907 წელს ადმინისტრატიული წესით გადაასახლეს ქუთაისის ციხიდან ვიატკის გუბერნიაში.

1901 და 1921 წლამდე ამხ. ვანო განიცდიდა მუდმივ დევნას თვითმპყრობელობის ჟანდარმების და მენშევიკების განსაკუთრებული რაზმის აგენტების მიერ. 1901 წლის 14 თებერვალს სტუდენტ ბალაშევის მიერ ბოგოლეპოვის მოკვლის დღეს ვანო დააპატიმრეს ბაქოში (ბალახანაში) და ჟანდარმებმა 16 თებერვალს ჩამოიყვანეს თბილისში. აქ ის ჩასვეს მეტეხის ციხეში ცალკე კამერაში და მიუჩინეს ჟანდარმები. მეტეხში ამხ. ვანო იჯდა 5 თვეს და ამ ხნის განმავლობაში მისთვის არ მიუციათ ნებართვა არც სხვების მიერ ნახვის და არც კამერიდან სასეირნოდ გამოუყვანიათ.

რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ამხ. ვანო მენშევიკებმა გამორიცხეს ალმასკომის შემადგენლობიდან ბოლშევიკური აგიტაციისათვის.

ოქტომბრის რევოლიუციის პერიოდში ამხ. ვანო მუშაობდა სამტრედიის რაიონში და ყოველმხრივ ცდილობდა ბოლშევიკური ორგანიზაციის გაძლიერებას. იმ დროს სამტრედიის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში ამხ. ვანოს ინიციატივით უკვე ირიცხებოდა 170 წევრი.

1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე, ამხ. ვანო მუშაობს საქართველოში ხელმძღვანელ საპასუხისმგებლო პოსტებზე. ის იყო პარტიის რესპუბლიკანური და საოლქო საკონტროლო კომისიების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი, იყო საქართველოს ცაკის თავმჯდომარის მოადგილე და საკავშირო ცაკის წევრი და სხვ.

მთელი თავისი სიცოცხლე ამხ. ვანო სტურუამ შესწირა მუშათა კლასის საქმეს. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მშრომელ მასებში. პარტია და მასთან ერთად მშრომელი მასები ყოველთვის სიამაყით მოიგონებენ ბოლშევიკ - მებრძოლს ამხ. ვანო სტურუას.

# საბჭოთა აზერბეიჯანის აღმშენებლობა



ზევიდან მარცხნით — ბაქო. პიატაკოვის სახელობის ნავთის საქაჩავი ქარხანა; „აზნავთის" ასფალტის ახალი საცხოვრებელი ბინა შაუმიანის რაიონში; აზერბეიჯანის „კულტურის სახლი"; ილიჩის ბუხტა — დამკვრელი ბურღილი ზღვის ნაპირას.

# ორი მოთხრობა

## ბღენძების ქალაქი

რამოდენიმე წლის განმავლობაში კომუნისტებს შორის ვცხოვრობ. მე მხოლოდ ამხანაგებს ვხვდები. ბურჟუები სცენის სტატისტებად მეჩვენება, რომელზედაც მუშათა მოძრაობა იშლება; და რადგან ეგ მოძრაობა მსოფლიო ისტორიის არსებას წარმოადგენს, მე შევეჩვიე წარმავალთა ე. ი. ბურჟუაზიის შეუმჩნევლობას.

ეს რასაკვირველია შეცდომაა ჩემი და, აი, რა ძვირად დამიჯდა ამ დღეებში.

მე უნდა გავმგზავრებულიყავ ჩეხების აგარაკ მარიენბადში. იქ ავადმყოფი ამხანაგი უნდა მენახა. მას თირკმლებში ქვა აღმოაჩნდა; იქაური წყლით მკურნალობდა. იგი მეტად მოხუცი იყო, რომ ოპერაცია გადაეტანა. ჩავედ მარიენბადში. დილით, როდესაც კოლონნადაზე დავდიოდი, უცებ გაბატონებული კლასის სახე შევამჩნიე.

ჩემს ირგვლივ რაღაც ბზუოდა. იგი მოძრაობდა, ჰყვიროდა, მხიარულობდა და სრულიად შეუძლებელი იყო ეს რაღაც არ შეგემჩნია. ჩემს თვალებს მოსვენება არ ჰქონდა: ხტოდა, ტრიალებდა, იხუჭებოდა. არ უნდოდა სულის ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე მათი სახეები აღებექდა, — მაგრამ არ მოხერხდა.

გაბატონებული კლასის სახე, რომელსაც ზოგჯერ ბერლინში მიწისქვეშა რონოდაში ამა თუ იმ ინდივიდუუმში დაიჭერ, აქ ისე ძლიერად არის გამეფებული, რომ ცალკე სიფათები თითქოს ერთიანდებიან. და მე დავიწყე ხსენებულ სახის გაცნობა.

ხორცი და ქონი, საყელოსთან დაგროვილი, ისეთ სახეს ჰქმნის, რომელსაც ადამიანთან არავითარი საერთო არა აქვს. შეიძლებოდა გვეთქვა: „ძაღლის დინგი"; მაგრამ ძაღლებს რად მივაყენოთ შეურაცყოფა? ძაღლები არსებითად სასიამოვნო არსებაა, მხოლოდ თუ მათ არ უვლიან, ისინი არა სასიამოვნო „სახეს" იღებენ.

აი, ბულდოგი! ბუნების მიერ არ არის ბუნებრივად წარმოშობილი! ის ადამიანის მიერ გამოგონილ კომბინაციათა ნაწარმოებია. სხვადასხვა ჯიშთა შერევა — ბულდოგს აჩენს და თუ ის ცუდი წვრთნისაგან გაიბღინძა და გასივდა, სწორედ ისე გამოიყურება, როგორც ბურჟუაზიული „საგარაკო სტუმრები", — მარიენბადში. არავითარი განსხვავება არ არსებობს მათ სახეებში, ყოველ მათგანს ქონი აზის და მეტად გაბერილია.

სახე თავდება ორმაგ, ან სამმაგ ნიკაპით, და ყელის მაგივრად, წინ-და უკან ქონის ბალიშები აქვთ მოდებული, რომელიც თავს არგვალებს და მის ზომას ადიდებს. ადამიანის ამაყი მკერდი, წინ წამოწეული, საზოგადოთ ძალისა და თავისუფლების სიმბოლოს წარმოადგენს, ძშვენიერი, როგორც ლოკომოტივის ქვაბი, რომელიც ჰაერს ასი კილომეტრის სისწრაფით აპობს. — ასეთ მკერდს აქ ვერ შეამჩნევთ. იგი მხოლოდ მუცლისკენ გარდამავალია, მთელი ტანის ცენტრისკენ. მუცელი ებერებათ; ზევით, ქვევით, წინ, მარცხნივ და მარჯვნივ. სისწორით რომ ითქვას მუცელი არის ამ ხალხის ნამდვილი სახე. მათი გაცნობა მუცლით უფრო ადვილია, ვიდრე სახით. აქ შეხვდებით მუცლებს, რომელიც საჰაერო ბურთსა გავს, შეხვდებით ვაშლის მოგვარს, ძსხლის ფორმისას, ისეთებსაც, მეხვდებით, რომლებიც ლუდის კასრსა ჰგვანან. ასეთი მუცლის პატრონი მუცელს წინ სწევს და როდესაც ჯდება, მუცელს ფრთხილად ათავსებს, რომ მან თავისი იერი არ დაჰკარგოს, ან კიდევ რაიმე უხეში მოპყრობით არ გასკდეს.

აი, ისინი ერთ რიგში დასხდნენ, — მუცლები თავიანთ მფლობელებით; ყოველ მხრიდან ერთი და იგივე ლაპარაკი გესმის:

— რას აძბობს ექიმი? შეგიძლიათ სჭამოთ?

— უჰ, თითქმის არაფერი. მე მშიერ დიეტაზე უნდა ვიყო.

— რა გამოგიწერათ ექიმმა? რა შეგიძლიათ დალიოთ?

— თითქმის არაფერი, მე ისეთსავე წყურვილს უნდა განვიცდიდე, როგორსაც სახარაში განიცდიან!

ისინი მხოლოდ ჭამა-სმაზე მუსაიფობენ. ლაპარაკობენ, იმის გარშემო, თუ მათ რა აქვთ აკრძალული, ან კიდევ ნებადართული, მეტად განსაზღვრული რაოდენობით.

ისინი თავიანთ სიცოცხლეში მეტად გამოძღნენ! ამ ათი ათასმა თუ თორმეტ ათასმა კაცმა შთანთქა მუშათა ძალა და მილიონ პროლეტართა შრომის ნაყოფი; ეხლა ისინი დიეტაზე უნდა იქნენ.

სხეულს მეტის ატანა არ შეუძლია; მხოლოდ ხორციელად. იმიტომ, რომ სულიერად — თუ შეიძლება ამ არსებათა რაღაც „სულიერ სიცოცხლეზე" ლაპარაკი, — მხოლოდ ერთი რამ აქვთ წარმოდგენილი, რომ იმათ უნდა სჭამონ და სხვებმა კი იმუშაონ.

ის სხვები არასდროს არ დასქელდებიან და არ გასუქდებიან და არც არასოდეს იმ მარიენბადში არ მოხვდებიან, სადაც გრილა და მეტად სასიამოვნო საცხოვრებელია.

ამ სხვების შრომის ნაყოფი ბლენძების მუცელშია მოთავსებული. მათ მუცელშია ჰაერი, რომელსაც სხვები მოკლებულნი არიან, მათ მუცელშია სხვების ცოლშვილის ჯანმრთელობა, ყველაფერი იმათმა მუცლებმა შთანთქეს.

ეს მუცლები მოპირდაპირე კლასის კუბო და საფლავებია: მოპირდაპირე კლასი კი შრომობს, ოფლს ღვრის და მათ კეთილდღეობისათვის იღუპება.

ეგ მუცლები საერთაშორისო მოვლენაა. კაპიტალისტური ქვეყნების ყველა ბატონებს ებურებათ მუცლები და ექიმები, დიდი სწავლულები ეწევიან ამ მუცლების შეკეთებას და მოწესრიგებას.

სწორედ, რომ ვსთქვათ იმათ შეიძლება საოცრეთესო საშუალება გამოუწეროთ, რის გამოც მუცლები ორ თვეში დაეჩუტება. ეს რეცეპტი კი მეტად მოკლეა:

**RP. სოციალური რევოლიუცია.**

**ექ. მარქსი**

მაგრამ, ღმერთო ჩემო, უჰ როგორ ეშინიათ მუცლებს ამ რეცეპტის!

მარიენბადში მიმავალმა გზად პრაგაში გავიარე და იქ ვიხილე თუ ეგ მუცლები, კაპიტალიზმის მსოფლიო ღიპებივით, როგორ იცავდენ თავს „უმუცლოებისაგან".

„უმუცლო" ჩეხების მუშებმა „წითელი დღე" მოაწყეს. ყოველ პრაგის მცხოვრებს თითო ჯარის კაცი ყუმბარით და ქანდარში ხიშტით მიუჩინეს. არ შეიძლებოდა ადგილიდან დაძრულიყავი ისე, რომ ჯარისკაცთა პოლკი არ დაგენახა და შენს უკან კი — მაძებართა გუნდი.

მაგრამ მარიენბადში ყოველგვარი ზომებია მიღებული, რათა „წითლებმა" მუცლების გამოჯანსაღებისა და იმათ ახალი „შემოქმედების" სამზადისს ხელი არ შეუშალონ.

მე გავძვერი ბრბოში, რომლის წინაშე მუცლები თრთიან, ცანცალებენ, ღელავენ და ჩემს სასტუმროში დავბრუნდი. აი იქ კი მე ხალხი უმუცლოდაც ვნახე: მოსამსახურეები, მოახლეები, და დამლაგებლები. მე შევეკითხე მოსამსახურეს, — რამდენი საათით განისაზღვრება თქვენი სამუშაო დღე?

—მუშაობისათვის სეზონში ნორმა არ არსებობს. სტუმრებმა რა დროსაც არ უნდა დაგვიძახონ, ვალდებული ვართ ვემსახუროთ.

—კარგი, მაგრამ ჯამაგირს რამდენს გაძლევენ?

—არაფერს არ გვაძლევენ. ჩვენ საჩუქრებით ვცხოვრობთ.

მე ჩქარა სადგურისაკენ გავექანე. ბლენძების ქალაქის გრილი და სასამოთხო ჰავა ჩემთვის პირდაპირ აუტანელია.

# სამი სახელმწიფო და ორი ავტომობილი

სანამ მოვყვებოდეთ სამი სახელმწიფოსა და ორი ავტომობილის გარშემო გამხდარ მხიარულ ისტორიას, საჭიროა საბჭოთა მკითხველს მივცეთ პატარა გაკვეთილი გერმანულ „პოლიტცოდნი"-დან.

ამრიგად, სს.კა, გაკვეთილი I.

გერმანიის სახელმწიფო — პოლიტიკური გაგება. პირიქით, გერმანია — გეოგრაფიული გაგება. ებერტის, ნოსკესა და შეიდემანის სახელოვანმა „რევოლუციამ" გერმანია „გააერთიანა". გერმანია შესდგება — თვრამეტ დამოუკიდებელ ერთეულისაგან, რომლებიც თანახმად ვეიმარის კონსტიტუციისა გერმანიის სახელმწიფოს შეადგენს. აქ საბჭოთა მკითხველის უეჭველად იჭრება საკითხი:

„ეს რა არის, სხვა და სხვა დამოუკიდებელი ფედერატიული რესპუბლიკები, სხვადასხვა ეროვნებებით, სხვა და სხვა კულტურული განვითარების გზებით".

სრულიადაც არა. ყველა ამ სახელმწიფოების მოსახლეობა ლაპარაკობს გერმანულ ენაზე და ერთიერთისაგან ისე განსხვავდებიან, როგორც მოსკოვის გუბერნია ლენინგრადისაგან. და ამასთან ერთად ამ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ჰყავთ დამოუკიდებელი მთავრობები, სამინისტროები, პოლიციელები და ფრიად განსხვავებული კანონებიც აქვთ.

შემდეგ განვაგრძოთ. თუ თქვენ ჰფიქრობთ, რომ ჰამბურგი ქალაქია, — სცდებით. ჰამბურგში სახელმწიფოა. სინამდვილეში, ჰამბურგი, რა თქმა უნდა, მაგრამ ხსენებული ქალაქის სხვა და სხვა ნაწილები სხვა და სხვა სახელმწიფოს ეკუთვნიან. მაგალითად ჰამბურგში სან-პაულის უბანი ქალაქსა და ჰამბურგის სახელმწიფოს ეკუთვნის, მაგრამ სან-პაულის ქუჩებში შეიძლება ზოგჯერ სხვა სახელმწიფოს ღერბი დაინახოთ. ხსენებულ უბნის ზოგიერთ ქუჩებს უკვე პრუსიის ქალაქ ალტონის სახელი ჰქვია.

ზემო ნათქვამის ცოდნა აუცილებელია, რომ გაერკვეთ იმ ისტორიაში, რომელსაც მე ეხლა მოგითხრობთ.

ჰამბურგში დიდი გაფიცვა ეწყობა.

მუშებს ფეხებზედაც არ ჰკიდიათ გერმანიის ბურჟუაზიის სახელმწიფოებრივი საზღვარი. ამიტომ ჰამბურგის მოქალაქეები და პრუსიის ქვეშევრდომი იფიცებიან. ჰამბურგში გამოდის (უკეთ, რომ ვთქვათ გაფიცვამდე გამოდიოდა). კომუნისტური გაზეთი: „ჰამბურგერ ფოლკსცეიტუნგი". წარმოიდგინეთ, რომ მხოლოდ ეს გაზეთი ბეჭდავდა გაფიცვებისადმი მხარის დაჭერას! ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატიული პრესა მუშებს არწმუნებდა წარმოებაში დაბრუნებულიყვნენ. კომუნისტური პრესა კი დაჟინებით მოითხოვდა გაფიცვების გაგრძელებას. ჰამბურგის სენატმა კომუნისტური გაზეთი დახურა., დახურა არა მარტო ის გაზეთი, რომელიც გამოდიოდა, არამედ აკრძალა მომავალშიაც (თუ კი კომუნისტები შესძლებდნენ) რაიმეს გამოცემა. როგორ შეიძლება გაზეთის გამოცემამდე აკრძალვა?.. შესაძლებელია, ყველაფერი შესაძლებელია ისეთ ქვეყნებში, სადაც მსგავსი დემოკრატიაა გამეფებული.

ჰამბურგელი კომუნისტები არც კი სცდილობდნენ ახალი გაზეთის გამოშვებას. მაგრამ ჰამბურგთან ახლოს არის ბრემენი, იქ გამოდის კომუნისტური გაზეთი, რომელშიაც იბეჭდება მოწოდებები და ცნობები გაფიცვების მიმდინარეობის გარშემო. ჰამბურგელი კომუნისტები თავიანთ ქალაქში ჰყიდნენ ბრემენიდან გადმოტანილ გაზეთებს. მაგრამ ბრემენიც ქალაქი არ არის, იგი სახელმწიფოა. ვისაც სურს ბრემენიდან ჰამბურგში მოხვდეს, გზა მხოლოდ ჰამბურგის გარეთ-უბნიდან არის. ჰამბურგი პრუსიას ეკუთვნის. ამიტომ გთხოვთ არ ურიოთ: ბრემენში პრუსიის პოლიციაა, ჰამბურგში კი — ჰამბურგის, სხვა გვარად, რომ ვსთქვათ განზეის პოლიციაა, ბრემენში კი — ბრემენის. ეს უბრალო და ცხადი ამბავია.

არის საკითხები, რომლებშიაც ჰამბურგის და ბრემენის პოლიციას შორის არ არის შეთანხმება. მაგრამ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა მათ რა თქმა უნდა აერთიანებთ.

ბრემენის პოლიციამ გაიგო, რომ კომუნისტები აპირებენ ბრემენის გაზეთის ჰამბურგში გადატანას. ტელეფონის ზარი, და ჰამბურგს უკვე ცნობა აქვს. ბრემენი ეძახის ჰამბურგს: გაზეთები ბრემენიდან გამოგზავნილი უნდა დააკავოთ!

ნადირობა იწყება.

ეტლებმა და საბარგო ავტომობილებმა ჰამბურგიდან ჰამბურგში მიმავალმა უნდა გადაიარონ იოსას ხიდი. ხიდის მარცხენა ნაპირზე პოლიცია სდგას, მეორე, მარჯვენა ნაპირზე — ჰამბურგის. ყველა მგზავრებს აჩერებენ და ჩხრეკავენ.

უცებ ჰამბურგის კომპარტიის წითელი საბარგო ავტომობილი გამოჩნდა. კომუნისტები არ ცდილობენ საშიში ბარგი კომბოსტოს, ან ნახშირის ქვეშ ამოუმალოთ. ისინი თავიანთ ავტომობილით მთელ შეკვრა გაზეთებს ეზიდებოდენ, ასე, რომ ჩხრეკა ზედმეტი აღმოჩნდა.

— შეჩერდით, შეჩერდით!.... გაზეთები გაქვთ?

— დიახ, ხომ ხედავთ!

— გაზეთების შემოტანა არ შეიძლება, აკრძალულია.

— სრულიადაც არა. ეს ბრემენის გაზეთებია. ჰამბურგში არ არის აკრძალული.

— გაზეთებში დაჟინებით მოითხოვენ გაფიცვების გაგრძელებას.

— იმიტომ არის იგი კომუნისტური.

— რა კი ეგრეა, იგი კონფისკაცია ქმნილია. ამხანაგ შოფერის პროტესტი ცხადია საქმეს არ შველის. იგი იძულებულია ავტომობილი პოლიცი-



სოციალ - ფაშისტები მუშაობენ პოლიციის მფარველობის ქვეშ. სოციალ - ფაშისტების დემონსტრაცია კომპარტიამ შიმშილობის საწინააღმდეგო დემონსტრაციად გადააქცია.. სურათზე: — პოლიცია ცემით უმასპინძლდება დემონსტრანტებს.

ის სამმართველოში წაიყვანეს. იქ მან აკავებენ. წითელი ავტომობილი კი გაზეთებით ქუჩაში რჩება.— სამმართველოს პირდაპირ.

შოფერს ეკითხებიან: თან იარაღი ხომ არა აქვს? აღმოუჩენენ რევოლვერს. შოფერს რევოლვერი ფაშისტების მოსაგერებლად ჰქონდა. შემდეგ შოფერს ხელი აწევინეს. გულდასმით ჩხრიკავენ, უნდათ გამოარკვიონ ქილეტის ჯიბეში ზარბაზანი ხომ არა აქვს, დამალული და მოწმობებს ართმევენ.

ამასთანავე პარტიის ბიურო ცნობას იღებს, რომ წითელი ავტომობილი დააკავეს. დასაზვერავად ლურჯ ავტომობილს აგზავნიან — და ავალებენ გამოარკვიოს, თუ რა შეემთხვა წითელ ავტომობილს. ამ შოფერს შემდეგში ჩვენ „ლურჯ" ამხანაგს უწოდებთ, დაკავებულს კი — „წითელს".

„ლურჯმა" ამხ. დაინახა, რომ წითელი ავტომობილი მაღაზიის გარეშე [illegible] და შემდეგ წითელ ავტომობილიდან გაზეთების ლურჯ ავტომობილზე გადმოტვირთვას. პოლიციელმა იგი ამ საქმეზე შეასწრო:

ხელები ზევით! თქვენ დაპატიმრებული ხართ! შოფერი პოლიციის სამართველოში წაიყვანეს, იჩხრიკეს და ქაღალდები ჩამოართვეს. მაგრამ ვინაიდან შოფერს ჯიბეზე იარაღი არ აღმოაჩნდა, პიროვნების გამორკვევის შემდეგ გაანთავისუფლეს. ამასთან ერთად მას შეცდომით „წითელი" ამხანაგის საბუთები მისცეს, „ლურჯმა" ამხანაგმა თუმცა ეგ დროზე შეამჩნია, მაგრამ არაფერი სთქვა, გულდამშვიდებით გაზეთებით დატვირთულ წითელ ავტომობილზე დაჯდა და ხიდი გადაიარა. შემდეგ გაზეთები ჰამბურგში გაავრცელა და ცარიელი ავტომობილით გზას გაუდგა.

ამ ხნის განმავლობაში „წითელი" ამხანაგის დაკითხვა ჰამბურგში დასრულდა და პოლიცია იძულებული შეიქნა ისიც გაენთავისუფლებია. მას კი „ლურჯი" ამხანაგის საბუთები გადასცეს.

— ეს რას ნიშნავს? ეს ხომ სხვისი ქაღალდებია? ეს მე არ მჭირდება. სხვისი ავტომობილის ნომერი... ამასთან ერთად...

პოლიციელები კარში გამორბიან. წითელი ავტომობილი გაქრა, მხოლოდ ლურჯი შერჩათ ხელში. „წითელი" ამხანაგი საშინელი აურზაურს სტეხს.

— მე კარგი და ახალი ავტომობილი მომპარეს. უვარგისი კი დამიტოვეს. ზარალს ვინ აანაზღაურებს? მე მოვითხოვ ოქმის შედგენას. ჰამბურ-



**გერმანიაში უმუშევრობის გაძლიერების გამო გახშირდა უმუშევართა დემონსტრაციები. სურათზე — პოლიცია რეკავს დემონსტრაციას ბერლინის ქუჩებში.**

გის პოლიციაში განგაში ატყდა. იგი ვალდებულია ზარალზე პასუხი აგოს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მთავარი ის არის, რომ კონფისკაციაქმნილი გაზეთები დაიკარგა. ჰამბურგის პოლიცია ჰამბურგის პოლიციას ურეკავს:

— აუცილებელია წითელი ავტომობილის აღმოჩენა!

მთელი ქალაქი თიხზე დააყენეს. წითელი ავტომობილი კაფეს წინ სდგას. „ლურჯი" ამხანაგი უდანაშაულო გამომეტყველებით ლუდით ალსავსე სასმისს შეექცევა. ეს მისი უფლებაა.

— ხელები ზევით! — უყვირიან პოლიციელები.

— რაშია საქმე?

— ხელები ზევით! თქვენ სხვისი ავტომობილი გაიტაცეთ. თქვენ იგი მოიპარეთ. ლურჯი ხელებს ზევით სწევს, მხოლოდ გაშმაგებით პროტესტს აცხადებს:

— მე თავს ბრალდებულად არა ვსცნობ. ჰამბურგში ბატონმა პოლიციელებმა ეს მოწმობები მომცეს და რადგან იქაურობას თოფის წამლის სუნი ასდიოდა, მე კამათი არ დავიწყე და მშვიდათ, კეთილად ჩემს გზას გაუდექი. ჩემი ბატონი დამითხოვს, რომ მას გარაჟში კომუნისტების წითელი ავტომობილი მივუყვანო.

— სად არის ბარგი? პოლიციელი უყვირის.

— რა ბარგი?!

— გაზეთები...

„ლურჯი" ამხანაგი განცვიფრებულ გამომეტყველებას იღებს.

— განა ავტომობილში გაზეთება იყო?! ორი საათია აქ ვზივარ და შესაძლებელია ბარგი ქურდებმა გაიტაცეს. მაგრამ მე კი არ ვიცოდი იქ თუ რამე იყო. მე დანაშაული არ მიმიძღვის.

ბრემენის სახელმწიფოს პოლიცია ჰამბურგის სახელმწიფოს პოლიციას დეპეშას უგზავნის:

— კოლეგებო, როგორ არის საქმე? წითელი ავტომობილი დააკავეთ.

— შეეკითხეთ ჰამბურგის პოლიციას! და ელსმენის მილი ჩამოკიდეს. ჰამბურგის პარტიულ კომიტეტის წინ ვალონტინსკაზე ერთად იდგა ორი ავტომობილი: წითელი და ლურჯი და ჰამბურგის ქუჩებზე გაფიცულები გულდამშვიდებით ბრემენის კომუნისტურ გაზეთებს კითხულობდენ.

ამ დროს ჰამბურგსა და ჰამბურგს შორის გაფართოებული მიწერ-მოწერაა გამართული. არკვევენ: რომელმა პოლიციამ უნდა აგოს პასუხი მომხდარ შემთხვევების გამო.

ბოლოსა და ბოლოს ორივე მხარეები შეთანხმდენ, რომ ყველაფერში ბრემენის სახელმწიფოა დამნაშავე.

# მუშა-დამკვრელები მოდიან მწერლობაში

## ხანძარი

მარტის გაცრეცილი ყინვა ნარევი ღამეა. ტფილისის განაპირა უბანში კლდესავით გარინდებული ქარხანა ამაყად გასცქერის მუშათა უბანს, რომელსაც ბნელი და ტლანქი ღამე პირქუშად დასწოლია. სიბნელე თანდათან იზრდება შავი ღრუბლების და ნისლის წამოწოლით. ყველას სძინავს, დღისით შრომისაგან მოქანცულს. არ სძინავს, ვანოს, რომელიც სიხარულით სთვლის ელნათურის შუქზე თავის ბრიგადის ნამუშევარს.

— ჰე, რამდენი გაგვეკეთებია!—ელაპარაკება ვანო ელნათურის მოყვითალო შუქს, რომელიც ოქროს ზოლებით ეხახება სიხარულით გაბრწყინებულ შუბლს და იმედით ელსავსე თვალებით გასცქერის სადურგლო სამქროს ცამდე აზიდულ საკვამლე მილს, რომელიც დარაჯათ დასჩერებია ამაყად გაწოლილ ქარხანას.

ვანო ამ საამქროს საუკეთესო «დამკვრელია» და უხარია, რომ დამკვრელობით საკმაო სარგებლობა მისცა როგორც საამქროს, რომელიც ასაზრდოებს ასეულ მუშების ოჯახს, ისე თავის ღარიბ ოჯახს.

— ეჰ, რა იყო წინათ... ფიქრობს ვანო და გაშტერებით მისჩერებია ელნათურებს. ვინ იფიქრებდა მუშების ან თვითონ საამქროს კეთილ მოწყობაზე? სად იყო წინათ დამკვრელობა, სოც-შეჯიბრება? ვინ გეტყოდა ან აგიხსნიდა დამკვრელობის და სოც-შეჯიბრის მნიშვნელობას, ვინ?? ელაპარაკება ვანო თავის თავს და სთვლის სადურგლო საამქროს შორეულსა და ხავსიან ისტორიას.

ერთხელ სადურგლო საამქრო, როდესაც იგი ეხლანდელ სამჭედლო საამქროსთან იდგა, უყურადღებობით ცეცხლი გაუჩნდა და ერთიანად ჩაიწვა.

— ეჰ, რა უბრალოთ და უმიზეზოთ გაანადგურეს ქარხანა!—ოხვრით იმეორებს ვანო ამ გულისმწველ სიტყვებს. მაშინ არავის არ ეწოდა გული ქარხნებზე, მაშინ არავინ არ ცდილობდა ქარხნების შეკეთებას, გაუმჯობესებას, მაშინ არავინ იყო დაინტერესებული ამ ძველი საამქროს გარდაქმნაში, მაშინ არ იცოდა ვანომ რა იყო წარმოების რაციონალიზაცია, რეკონსტრუქცია... არ იცოდა არა და არც იყო დამნაშავე, რადგან მას არავინ არ ასწავლიდა. ეხლა კი, ვანო ბედნიერია იმით, რომ ყველაფერში საკმაოთ გაერკვა; ბედნიერია იმით, რომ სადურგლო საამქრო ხელახლად გამოცოცხლდა და საკმაოდაც გარდაიქმნა.

მოგონებები და მძინარეთა ღრმა ქშენა, უძირო მორევივით ტრიალებენ მის წარმოდგენაში და მოუთმენლად მოელის გათენებას, რადგან მას პატარა გამოგონება აქვს მისი დაზგის გაუმჯობესებისათვის და ისეც რომ არ იყოს, იგი საუკეთესო დამკვრელია. ვანო ყოველთვის სცდილობდა, რომ წმინდა ბოლშევიკური დამკვრელობით, მალე შეევსო ხუთწლედის საწარმოო გეგმის რიცხვები. ფიქრებით და მოლოდინით მოქანცულ ვანოს, შავბნელ ძაძებში გახვეულ შუაღამემ მიახუჭვინა ოცნების ტალღებში შესრიალებული თვალები. იგი უკვე სიზმარშია: ოცნების კოშკები ცის თაღებში ატყორცნილან და იქიდან ულოცავენ გამარჯვებას მხიარულ დამკვრელს.

აგერ ვანომ თავისი გამოგონებით გააუმჯობესა დაზგა. უხარია, იცინის. მას გარშემო უხვად ეხვევიან ამხანაგები და ულოცავენ გამარჯვებას. აგერ ძველი სისტემის დაზგას სცვლიან ახალი დაზგები, რომელნიც ოქროსებურად ბრჭყვიალებენ. ფიცრების მრანდავი მანქანა უხვად აბნევს გარანდულ ფიცრებს. იზრდებიან დამზადებულ მასალის გორები... ისმის მანქანის გრიალი და მუშების მხიარული სიმღერა. მადლობას უხდიან გაღიმებულ ვანოს და ვანოც თავის წილად თავს უხრის. უხარია მის გარშემო მყოფ ამხანაგებს.

ფიცრით დატვირთული რონოდები ერთი მეორეს სცვლიან: უცებ ორთქლმავალმა შეჰკივლა, გააქანა დატვირთული ვაგონების ასეულები, მაგრამ ველარ ერევა... ყვირის გაშმაგებული რკინის ვეშაპი და შეელას თხოულობს, მაგრამ ვეღარავინ ეხმარება...

ორთქლმავალის ყვირილს და თოფის ხმას საყვირის ტირილი შეუერთდა. ვანოს უნდა დაუყვიროს, მოეხმაროს, მაგრამ ენა დაება.., მუხლებშიც ვიღაცამ ბორკილები შეაბა, ტოკავს... შფოთავს...

— ეს რა ამბავია! და ვანო გაოცებით აჭყეტს თვალებს.

— უჰ, როგორ ჩამძინებია. რა ცუდი სიზმარი ვნახე, ეს ოხერი!—ოდნავ აღელვებით წამოიძახა ვანომ და ის იყო უნდა წამომდგარიყო, რომ საყვირმა ერთხელ კიდევ გულსაკლავად ამოიგმინა და ფანჯრის პირდაპირ ცეცხლის ზღვამ სისინი დაიწყო. გაოცებულს და ნახევრად შეშინებულს არ სჯერა: ნუთუ სადურგლო საამქრო იწვის?! სულიერი ღელვა ყელში ებჯინება. მთელი ოჯახი და მუშათა უბანი აიშლერა, ახმაურდა, აღელდა... მარტის გაცრეცილი და ყინვანარევი ღამე, კი ზღაპრულ ვეშაპივით გარშემო უვლის სადურგლო საამქროს გარინდებულ კედლებს, რომელსაც ცეცხლის წითელი და შეუბრალებელი ალები ეხლართებიან. ვანო აცრემლებული და აღელვებული, თვალის დახამხამებაში შეერია მუშების ათასეულებს.

აგერ კედელზე სდგას დამკვრელი მეხანძრე და ძლიერად უჭერს აცახცახებულ ხელებს წყლის ტილოს მილს, რომლიდანაც გაშმაგებული ჩქაფუნით ესხმება სისხლსავით წითელსა და ღონიერ ალს, რომელიც თანდათან იზრდება გამძვინვარებულ ოკეანეს ტალღებივით.

ვანო აღელვებულია, არ იცის რა ჰქნას.., საამქრო კი მომაკვდავივით ებრძოლება ცეცხლს. ქარიც თანდათან ძლიერდება... ბორგავს... მუშების სასოწარკვეთილება და უიმედობის უდაბნო, ხანძრის საზარელი ხარხარი, ქარის ხმაური წყლის შადრევანისებური ჩქაფუნება ერთიმეორეში ირევიან. ვანო დაიბნა. გიჟივით შევარდა ცეცხლში და გაშმაგებულმა სარანდავ მანქანას წევა დაუწყო. უნდა გამოიტანოს... დაიხსნას დაწვისაგან. სახეზე ოფლი დაესხა, კუნთები კი თანდათან ებერებიან, ძალა თითქოს ერთი ათად მოემატა. მაგრამ მანქანა კლდესავითა სდგას, ადგილიდან არ იძვრის... ვანოს გარშემო კი ცეცხლის ალები გესლიანი სისინით დასცინიან ასეთ გულუბრყვილო სისულელეზე... რას ჩადიხარ?! გაუელვა თავში უეცრად წამოჭრილმა აზრმა... დაფიქრდი!.. განსაცდელი მოგელის... წყლის კრანი მოუშვი და ხანძარი შენელდება. იდუმალებით გაელვებული ხმები ზედიზედ ეწყობიან ტვინის ნერვებში...

და ვანოც იქვე მდგომ წყლის მილთან გაჩნდა. მოუშვა კრანი, ეს არის უნდა გამოვარდეს გაცოფებული წყალი და ჩააქროს ცეცხლს, მაგრამ წყლის ერთი წვეთიც აღარ მოიძებნება კრანში. ვანოს თავი შორეულ უდაბნოში ჰგონია, სადაც მზის მხურვალე სხივები ქვიშნარში ჩამშრალ უკანასკნელ წვეთებსა სვამდენ. ვანო გიჟივით შევარდა ანგარანში. ტელეფონით უნდა გამოუძახოს დანარჩენ მეხანძრეებს, მაგრამ ტელეფონიც არ უპასუხებს.

— ო, ბოროტო ხელო... იუდავ... დაიყვირა ვანომ და თავბრუდახვეული დასუსტებული მიესვენა იქვე მდგომ სკამზე... მის გარშემო ყველაფერი დაბნელდა, დადუმდა.. ცოტა ხანიც და ქარმა ანგარანის ღია ფანჯარა მიაჯახუნა. ვანო გამოერკვა... დასუსტებულ ხელებით თვალებს ისრესავს... მხდალო... მხდალო, დასისინებს სირცხვილის გრძნობა, თითქოს მის გვერდზე ვიღაცა დგას და ელაპარაკება:—სირცხვილი შენისთანა გულშემატკივარ დამკვრელს! ხმები აღარ შორდებიან თავბრუდახვეულ ვანოს:.. საამქრო გეწვება... აგერ შენ დაზგას სახურავიდან ჩამოვარდნილი რკინა დაეცა... გატყდა... უშველე.. უშველე... და... ვანო გულგაღელილი თმებგაშლილი, არეული თვალებით სდგას საამქროს კედელზე და ხელში ძლიერად დაჭერილს წყლის ტილოს მილს უმარჯვებს ვეებერთელა ალებს...

ნახევარი ქალაქი განათებულია ხანძრის გულშემზარავ სიმხურვალით. იწვის ასეული მუშების იმედი, იცრემლება ასეული მუშების თვალები... საამქროს ჩაფერფლილ სახურავს და ყინვიან ქარს, უერთდება მუშების ოხვრა, რომელსაც დაჰსისინებს ბოროტი ზრახვებით დატვირთული მავნებელი ხელები. წუთით ყველაფერი ჩაიძირა უიმედობის ღრმა მორევში... ნუთუ, სამუდამოთ ჩაიმარხა სადურგლო საამქროს მაჯის ცემა???

არა!!! ელვარებს აღმოსავლეთის პირველი სხივი, რომელსაც უერთდება მუშების ენტუზიაზმი. სადურგლო საამქრო არ მომკვდარა, მხოლოდ ჩაეძინა ბოროტი ხელით, შემზადებულ საწამლავით და ისევ გამოიღვიძებს...

დამკვრელი ბრიგადები ერთი მეორეს ეჯიბრებიან დამწვარ საამქროს შეკეთებაში. აგერ ვანოც თავის დამწვარსა და დამტვრეულ დაზგას ნახევრად აჭრელებული, იმედიანათურაკუნებს კვერს და სჯერა, რომ ახლო მომავალში გამოიღვიძებს საყვარელი საამქრო.

მარტის ყინვანარევი ქარი კი თავისას არ იშლის და უსწორ-მასწოროთ უწეწავს არეულ თმას...

**დამკვრელი მუშა—ვლადიმერ კობიაშვილი.**



ზელანდიაში მოხდა საშინელი მიწის ძვრა, რის გამო ქალაქი ნაიპაიერი ნანგრევებად აქცია. სურათზე დანგრეული ქალაქი.

## დამკვრელი

მე
დამკვრელი ვარ,
მე
გიწვევთ ყველას
ვინ ხართ თანახმა, აწიეთ ხელები:
ჭირიმე თქვენი, რომ ყოყმანობის
თქვენ
გადალახეთ დღეს აქ ველები.
აბა,
დათვალეთ—
მაგრამ ვინ დასთვლის
აქ უთვალავი არის ხელები...
დღეს
სიხარულის და შეჯიბრების
ენტუზიაზმში ყველა დასცურავს.
ვინ წინ,
ვინ უკან
აბა ბიჭებო,
დღეს სიზარმაცეს ვინ ამოსწურავს!..
გუშინ რომ ზანტად
დინამო ბორბლებს
წისქვილის ქვასებრ რამ აბრუნებდა
და
ზედ დალვენთილ ზეთის ნაწვეთებს,
როგორც რომ დორბლებს ისე ისროდა,
აქ ასეთ სურათს ვერ ნახავთ დღესა,
დღეს
თვით ძრავებმაც იცვალეს ფერი,
დღეს
აქ მანქანებს არ სცხია ლაქა.
დღეს
მანქანებზე არ არის მტვერი;
ინდუსტრიალურ
ეპოქის ზრახვა
დღეს ლითონებმაც
იგრძნეს,
გაიგეს.
და
იდეამიანს ამის მოწამეს
განა
შეჰფერის განზე გაერიდეს?
გუშინ
რომ იყო აქ გაცდენები
უსაქმური დროის გატარება,—
მოჰკლა შეგნებამ
დღეს ყველა ეს და
შრომის ლოზუნგებს
აქ ყველა გაჰყვა.

რ. ბრემი

## ტემპებით მივქრით

კიდევ მოვქრივართ, ვინ შეაჩერებს
წელთა ხლართების უწყვეტელ ქროლვას,
ვინ შეაჩერებს შრომის სიმღერებს
კომუნიზმისკენ მუშების ლტოლვას.
წელთა ქარიშხალს მივდევთ ფეხდაფეხ
ახალ ცხოვრების ახალ ტემპებით
და უკან ვსტოვებთ ჩვენ ძველ სამყაროს,..
მიდიამის ვამკობით მშრომელ მკერდებით...
ევროპა მოგავს ასი წლის მოხუცს
გარს შემორტყმული წითელი ალყით,
ბოლშევიკური ტემპებით მივქრით
და ვეჯახებით მთელი სიმძლავრით.
ტემპები მიჰქრის ქარიშხალივით,
ნაბიჯებს ადგამს ბოლშევიკურად
მიდის დამკვრელი ქარხნის ძალივით
და ჰქმნის ცხოვრებას კოლექტიურად.
და კვლავ მიჰქროლავს წელთა გრიგალი
თან მიაქვს ძველი ცხოვრების წყობა
ახლის შენებას ვერ ასწრებს თვალი
მტკვარი ზაჰესის რკალში ილიჩობა.
დამკვრელი გუნდები აწყობენ რკინებს
ყრიან ბეტონებს წყალში სიუხვით
შეუჩერებლად მანქანა ქშინავს
შრომა გადიქცა შემოქმედებათ.
დამკვრელი მუშა.

## ჩემი ცხოვრება

დილით ყოველთვის საყვირთან ერთად
გადმოვანათებ ვით ცეცხლის ალი,
ჩემო დაზგებო, მოვდივარ ეხლაც,
რომ გავიმურო შრომაში თვალი.

— : —

ჩემში პირველად ღველფმა პატარამ
აქ გული გრძნობით ისე დასჭიმა,
რომ სიხარული გამომატანა:
დაზგამ, ჩაქუჩმა და შალაშინმა.

— : —

მე შევეთვისე მტვერსა და ნახშირს
სადაც შრომა სდუღს გრდემლით ნაგები,
და მიხარია, რომ მივალ გზაში.—
ძალზე ნამური ასეთ საგნებით.

— : —

წამები როგორ გამეპარება,—
როცა მანქანა შლის ამდენ ნარევს,
ვუმღერებ იმას და მეყვარება,
ვინც, რომ შრომაში მართლა სულს დალევს.

— : —

ჩემი ცხოვრება რკინის ლერძია,
გარბის დღეები ჩქარი ჭარივით;
მიზიდავს შრომა და პოეზია—
მთიდან მომსკდარი ნიაღვარივით.

# შენიშვნები მიმდინარე ლიტერატურაზე

ლიტერატურა ყოველთვის გარკვეულ კლასის მიზნებს და ამოცანებს ემსახურებოდა— მხატვრულ ლიტერატურაში მუდამ ისახებოდა რომელიმე კლასის იდეები. ასეა დღესაც.

დღეს, როდესაც ჩვენში სამკვდრო - სასიცოცხლო ომი მიმდინარეობს კაპიტალისტურ და სოციალისტურ სექტორს შორის, ბრძოლა სოციალისტური სექტორის სასარგებლოდ მთავრდება. მწერლობას ამ კლასიურ ბრძოლის პროცესში, კერძოდ იდეოლოგიურ სფეროში უდიდესი როლის თამაში შეუძლია.

მთელი რიგი რეაქციონური მწერლები თავის მომაკვდავ კლასთან ერთად იარაღ-„ასხმული" გადამწყვეტ ბრძოლას გვიცხადებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ქართველი მწერალი იყოს რეაქციონური ტენდენციების მატარებელი, ამის ფიქრი შეცდომაც იქნებოდა. თუ ერთი მხრივ გაძლიერდა მემარჯვენე რეაქციონურ მწერალთა აქტივობა, მეორე მხრივ იზრდება ნამდვილი საბჭოთა თანამგზავრული მწერლობა.

თანამგზავრ მწერლების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენი მოკავშირე ხდება (გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი და სხვა), რომლებიც ცდილობენ მოგვცენ მხატვრულ ტილოებზე ის მიმდინარე პროცესები, რომელიც დღეს ჩვენში ხდება. ისეთი პერმანენტული მერყევი მწერალი, როგორც ნ. მიწიშვილია, დღეს ცდილობს შემობრუნებას ჩვენსკენ და თავისი უკანასკნელი მხატვრული ფაქტებით ცდილობს გახდეს თანამგზავრი. ცხადია, განზრახვა კარგია. ამისათვის მიწიშვილს ყველა დაეხმარება, მაგრამ ამ თანამგზავრულ ტენდენციებს შიგნით არ უნდა რჩებოდეს რეაქციონური ბუნება.

უკანასკნელ ხანებში დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის სოციალ - ეკონომიურ წყობაში. საბჭოთა კავშირი ისტორიაში არ ნახული ნაბიჯებით მიდის სოციალიზმისაკენ. ქალაქის მსხვილი ინდუსტრიალიზაცია და სოფლის კოლექტივიზაცია მთელ რიგ ახალ ამოცანებს სახავს მწერლობის წინაშე. გ. ტაბიძე უდავოდ დღევანდელ სოციალისტურ ეპოქის უდიდეს მომღერლად გადაიქცა. მისი უკანასკნელი პოემა „რევოლუციონურ საქართველოს" ამის საუკეთესო დამადასტურებელია. გ. ტაბიძეს სწამს ჩვენი ყოველდღიური ზრდა და გამარჯვება. ამითაა სწორედ გამოწვეული ის მაღალი პათოსი, რომლითაც იგი გამსჭვალულია:

. . . . . . . . . . . . ,

„ხმა... ნაწილი ვარ ხუთწლედის
არა საბრალო გერანი,
როგორც უდაო ნიშანი
მეშჩანურ კეთილდღეობის—
არამედ ცეცხლის მერანი,
ეპოქა გულუშიშარი,
ეპოქა მძლეთა-მძლეობის".

ხმა, რომელიც იძახის გ. ტაბიძის შემოქმედებაში, რომ „ნაწილი ვარ ხუთწლედის"-ო არაა ხმა მისტიურ ადამიანის,არამედ ეგ ხმა თვით პოეტისაა, აღნიშნულ ხმით მხოლოდ გ. ტაბიძე იძახის და არა ვინმე სხვა. გ. ტაბიძეს დღევანდელი ეპოქის საჭიროების გარეშე არაფერი არ ესმის. მას კარგათ აქვს შეგნებული, რომ დღევანდელი დღე არის კლასობრივ ბრძოლის ფრონტი, სწორედ ამიტომაა იგი, რომ სწერს:

არა თუ წლები გადაეშვა ტყდომათ;
წამიც კი გატყდა დარეკავს ცხარედ,
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ,
დროის ეპოქის და სივრცის გარედ.
ბევრი მიეცა ტალახსა და ლექსს;
ბევრის ნაბიჯიც არის ტაატი.
დრო, დრო აღნიშნე მოაწერე ლექსს
ეს წელიწადი, დღე და საათი.
არა თუ წლები გადიქცა ტყდომად
ყოველი ლექსის ყოველი ბწკარი,
არის გაჭრილი კლასიურ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.

. . . . . . . . . . . .

ბევრი ზმორებას ჯერ ვერ მორჩება
ეს ათი წელიც ცოტა როდია,
ათი წლით კაცი რომ ჩამორჩება,
ან გალეწჩყება, ან ბოროტია".

აღნიშნულ ლექსში ღრმად იგრძნობა დღევანდელი დღის ადამიანი, რომელიც გულწრფელად უმღერს სოციალისტურ მშენებლობას, ადამიანი, რომელიც წყევლის და კრულავს მათ, რომლებმაც ამ ათი წლის განმავლობაში ჯერ კიდევ ვერ შესძლეს გამოფხიზლება.

გ. ტაბიძე დღეს უდავოდ სოციალისტური მშენებლობის მოკავშირეა, იგი მზადაა კლასიურ ბრძოლის ფრონტზე მიიღოს აქტიური მონაწილეობა და თავისი პრაქტიკული საქმიანობით დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებიც აშენებენ სოციალიზმს. გ. ტაბიძე უდავოდ ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი თანამგზავრია.

— : —

დღეს მწერლობის ფენებში საგრძნობი დიფერენციაცია ხდება. მთელი რიგი მწერლებისა დღეს აბსოლუტურად არასფერს არ ქმნის, ზოგი შეგნებით სდუმს, ზოგს დაუდუმდა რომანტიული „მუზა" და უცდის ისევ მის „მოფრენას" გაზაფხულის მერცხალივით, ზოგმა სცადა თავისი კალამის მომარჯვება თანამედროვე თემატიკაზე, მაგრამ მარცხი განიცადა, ზოგიც ცდილობს ჩვენსკენ ისევ მობრუნებას: კერძოთ ისეთი მწერალი, როგორც ნ. მიწიშვილია, მასში დღეს საგრძნობი გარდატეხა იწყება. იგი სწერს ისეთ ლექსს, როგორიცაა მისი „ათი წელი" (იხ. „სალიტერატურო გაზეთი" 1931 წ.), რომელშიაც მიწიშვილი აცხადებს:

„ვხედავდი ნისლად ცას ეკვრებოდა,
ძველი ოცნებით შექმნილი არე,
„ერი", „სამშობლო": „სახელმწიფო"
სადღაც მქრებოდა,—
მიმკვიდრებოდა სიცოცხლე მწარე.
ახე ვფიქრობდი და ეს ტკივილი
ვერ ამოვდენე გულიდან ყელში
დავპარპაცებდი თავმოჭრილივით
მერყეობაში და გასაცდელში.
ამ განცხადების მე არ მრცხვენია,
(თუმც საამაყო აქ ცოტა არი)
მაგრამ წუთიც არ დამიხვენია,
რაც შემოვალე საბჭოთა კარი".

მე ვფიქრობ განცხადება არაა მთლიანი თანამიმდევარი. მართალია, მიწიშვილი ლაპარაკობს მის წარსულზე, ვითომდა ამაგებს მას, მაგრამ იქვე ახკვნის:

„ამ განცხადების მე არ მრცხვენია,
(თუმცა საამაყო აქ ცოტა არი)

როგორც ვხედავთ, მიწიშვილი აქ ეჭვობს. მას მის წარსულში „რაღაცა" მცირე მაგრამ მაინც საამაყოდ მიაჩნია. მე ვფიქრობ, მიწიშვილის წარსულში არაფერი არაა საამაყო, თუ რომ მას გულწრფელად უნდა გახდეს ნამდვილი თანამგზავრი, მან უნდა შესძლოს ყველა იმ ძაფების გადაჭრა, რომელიც მას წარსულთან აერთებს. მიწიშვილმა უნდა შესძლოს უკან დასახევ ხიდების აფეთქება და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაემიჯნოს თავის წარსულს, რომლითაც მას ჯერ კიდევ თავი მოაქვს. მართალია, მიწიშვილი შემდეგ სტრიქონებში სწერს:

„ძველი ოცნება დუღილში დაშრა,
და მესამე გზის გაჰქრა იმედი.
ბრძოლა ბრძოლითვე მებრძოლმა გასჭრა,
საუკუნემდის გასჩეხავს ბედი,
და დაამტკიცა, რომ ქვეყნისათვის
არ არსებულა ორი გზის მეტი".

ეს კარგია, მაგრამ არ კმარა. არც ის კმარა, როცა მიწიშვილი სწერს:

„მე ავირჩიე ერთი გზა—თქვენთან,
მშრომელის გეზი, მშრომელმა კაცმა,
ვერ დამაყვედრით—„ეს მოიღეენთა,
მან მოინდომა სხვა ქურქის ჩაცმა".

პოეტი, რომელიც ჩვენთან მოდის და რომელსაც სურს გულწრფელი თანამგზავრობა, საკითხს არ უნდა აყენებდეს ისე, როგორც მიწიშვილი აყენებს „ვითომ მას მოლეენთას და სხვა ქურქის ჩაცმას დასწამებენ" ეგ დებულება ძირშივე მცდარია. ნ. მიწიშვილმა თავის მხატვრულ ფაქტებით უნდა შესძლოს იმ დაპირების განაღდება, რომელსაც იგი ქვემოდ იძლევა:

„მე თქვენთანა ვარ ამ დიდ შარაზე,
როგორც პოეტი და მოქალაქე".

სურვილი კარგია, აღნიშნული ლექსი მიჯნაა ნ .მიწიშვილის შემოქმედებაში. ჩვენ ვესალმებით მის ასეთ განცხადებას. მან უნდა შესძლოს დაეჭვების, „ფილოსოფიის" უარყოფა, იგი ჩვენთან უნდა მოვიდეს არა ეჭვით და შეშინებულ ადამიანის თვალებით, არამედ, ბრძოლით და პრაქტიკულ შემოქმედებით. ჩვენ ამას ველით მისგან.

ქ. მელაძე.



გერმანიის სატახტო ქალაქებიდან, ვიდრე სოფლებამდე მსოფლიოზე ყველაზე უდიდესმა მუშათა დემონსტრაციების ტალღამ გადაირბინა. სურათზე — შვარცენბერგის ბაზარზე დემ ონსტრაცია უმუშევრობის წინაალმდეგ.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



მზადება საგაზაფ. თესვის კამპანიისთვის. — თბილისში მოსულ გუთნების გადმოტვირთვა ა.-კ-სიის კოლმეურნეობებისთვის.



დამკვრელი მუშა-კორესპონდენტი ამზადებს მასალას გაზეთისათვის.



26 კომუნარის ქა რხანაში მზადდება ჩაის დამამზადებელი მანქანები. სურა თზე — მუშა დამკვრელი ჩაის მანქანებს (როლლერებს) აწყობს.



მუშათა საერთო საცხოვრებელი სურამის ულელტეხილზე



თბილისის ავეჯ ეულობის ქარხანაში ბრძოლამ ხარისხის გასაუმჯობესე ბლად ფართო ხასიათი მიიღო. მრავალმა დამკვრელმა ბრიგადამ ერთმანეთი სოცშეჯიბრებაში გამოიწვია. სურა თზე — ერთ-ერთი ცეხის დამკვრელი ბრიგადა.



ა.-კ-იის მეაბრეშუმ ეობის ინსტიტუტმა თბილისში გააშენა 5 ჰექტარი თუთის პლანტაცია, საიდანაც სხვა რაიონებს მიაწვდია ნ თუთის ნერგს.

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი“. ვაჩლის 4. № 68. მთავ. № 883. შეკვ. № 957. ტირ. 5.600

